



ბიოგრაფია - ირაკლი ფორჩხიძე

2012 წლიდან ირაკლი ფორჩხიძე საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის (GISS) თანადამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტია. აღნიშნული კვლევითი ორგანიზაციის მისიაა, გააანალიზოს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების, საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხები.

2010-2012 წლებში ირაკლი ფორჩხიძეს ეკავა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა. ის ხელმძღვანელობდა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ის ასევე მონაწილეობდა ჟენევის მოლაპარაკებებში, სადაც წარმოადგენდა საქართველოს დელეგაციას, ჰუმანიტარულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფარგლებში. მანამდე ირაკლი ფორჩხიძეს ეკავა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თანამდებობა და უძღვებოდა საბჭოს ანალიტიკურ საქმიანობასა და სტრატეგიული დოკუმენტების (ეროვნული საფრთხეების შეფასებისა და უსაფრთხოების კონცეფციის) შემუშავების პროცესს.

2004 წელს ირაკლი ფორჩხიძე იუსტიციის სამინისტროს ახლად ჩამოყალიბებული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს პირველ ხელმძღვანელად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობისას, მომდევნო 2 წლის განმავლობაში, განისაზღვრა რეესტრის სტრატეგიული ხედვა და დაინერგა ახალი მომსახურებები. ის ზედამხედველობდა სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარებას, მის მოდერნიზაციასა და განახლების პროცესს.

2001-2004 წლებში ირაკლი ფორჩხიძე მუშაობდა პროექტის მენეჯერად ფონდში "ღია საზოგადოება საქართველო", სადაც სხვადასხვა დროს უძღვებოდა კანონის უზენაესობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო ადმინისტრირებისა და "დასავლეთ-აღმოსავლეთ" პროგრამებს.

ირაკლი ფორჩხიძე ფლობს ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის და დიპლომატიის ბაკალავრის ხარისხს, ასევე, კოლუმბიის უნივერსიტეტის და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

2014 წელს მან მიიღო სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის, განვითარების და კანონის უზენაესობის ცენტრის პრესტიჟული სტიპენდია.